Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№25, ივლისი, 2023

სეკულარიზაციის კრიზისის ზეგავლენა პოსტსაბჭოური საქართველოს დემოკრატიზაციაზე: მუსლიმური თემის სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში

ზიზი გამგებელი

მარიამ არაბაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: Mariam.arabashvili916@sps.tsu.edu.ge

Email: zizigamgebeli12@gmail.com

აბსტრაქტი:

სეკულარიზაცია, როგორც კონცეფცია, გულისხმობს საჯარო სივრცეზე რელიგიური გავლენის შესუსტებას, რელიგიურობის, როგორც კოლექტიური საზოგადოების, არსებობის შეუცვლელი მოთხოვნილების აღქმის გადახვევას. შესაბამისად, სეკულარიზაცია ხელს უწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლიანი და დემოკრატიული მონაწილეობის უზრუნველყოფას, როგორც რელიგიური, ისე საერო პირებისთვის.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო-ავტოკეფალიურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, პარლამენტის მიერ 2002 წელს სათანადოდ რატიფიცირებული კონსტიტუციური შეთანხმება აღიარებს ქვეყანაში მართმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები, მიზანშეწონილად არ მიიჩნევს უპირატესი მოპყრობის მინიჭებას რომელიმე კონკრეტული რელიგიური ჯგუფის მიმართ, ვინაიდან დომინანტური რელიგიური ერთეული, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობს, ხდება მიზეზი სხვა რელიგიური ჯგუფების მარგინალიზაციისა.

სახელმწიფო XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიული როლიდან გამომდინარე ისახავს პრეროგატივად, თუმცა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონებისა და ზიანის მოცულობა დღემდე არ არის დათვლილი. ამის ფონზე კი მუსლიმი თემი სახელმწიფოს დაფინანსების შერჩევითობაში ადანაშაულებს. საქსტატის 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 11% არის მუსლიმი, მრევლისა და მეჩეთების რაოდენობა კი შეუსაბამოა. ამის გათვალისწინებით, ადგილობრივი მუსლიმები ცდილობენ საცხოვრებელი სახლების სამლოცველოდ გადაკეთებას (formulanews.ge, 2021).

საკითხის აქტუალურობასა და მის პრობლემურ ბუნებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში ეთნიკური ნაციონალიზმი მართლმადიდებლობასთანაა შეზრდილი, რაც ართულებს ეროვნული ერთობის ჩამოყალიბებას, რელიგიური პლურალიზმის პირობებში. დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებისათვის აუცილებელ წინაპირობას კი ეროვნული ერთობის არსებობა წარმოადგენს.

სტატიის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებული იქნება გერმანელი პოლიტოლოგისა და ფილოსოფოსის იურგერ ჰაბერმასის "პოსტ-სეკულარული საზოგადოების" ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ სეკულარიზმი არა რელიგიური როლის დაკნინებას, არამედ მოდერნულ სამყაროში ახალი სინამდვილის ჩამოყალიბებას უკავშირდება, რომელიც მოითხოვს რელიგიური იდეებისა და ღირებულებების ნეიტრალურობას.

სეკულარიზმი ევოლუციური და შეუქცევადი პროცესია, რაც განპირობებულია ისეთი მულტიკულტურალური და პლურალისტური საზოგადოებიდან, რომელიც ტერიტორიული

საზღვრების გახსნამ და გლობალიზაციამ მოიტანა. ამის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ჩვენი კვლევის ორი ძირითადი კითხვა:

1) როგორ აისახება რელიგიური კონფლიქტები საქართველოში ეროვნული ერთობის ჩამოყალიბებასა თუ კონსოლიდაციაზე და რა არის ამ კონფლიქტების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები?

2) რა ფაქტორები განაპირობებს საქართველოში სეკულარული საზოგადოების ჩამოყალიბებას და მის ფარგლებში რელიგიური ჯგუფების ინტეგრაციას?

ვინაიდან პრობლემა დღის წესრიგის ნაწილი არაა, ამ ეტაპამდე არ მომხდარა მისი სიღრმისეული შესწავლა. ჩვენი კვლევა აგებულ იქნა სოციალურ მეცნიერებათა თვისებრივი კვლევის მეთოდებზე, კერძოდ, გამოვიყენეთ ონლაინმედიისა და ინტერნეტ-რესურსების ანალიზი. კვლევის პროცესში მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი ნახევრად-სტრუქტურირებული გაიდლაინით და მოდერაციით, მუსლიმი თემის წარმომადგენლებსა და მართლმადიდებელი მრევლის წევრებთან.

საკვანძო სიტყვები: სეკულარიზმი, პოსტ-სეკულარული საზოგადოება, კონკორდატი, დემოკრატიზაცია, რელიგიური პლურალიზმი.

შესავალი

სეკულარიზმი დემოკრატიის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, განსაკუთრებით ახალ დემოკრატიულ ქვეყნებში. როდესაც ქვეყანა დემოკრატიულ წყობილებაზე გადადის, დასაწყისშივე საჭიროა სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნა, რათა არ მოხდეს „სახელმწიფოს რელიგიის თავისუფლებით შეზღუდვა.“

განიხილება სეკულარიზმის მრავალი ფორმა. როზენფელდის კლასიფიკაცია სულ 3 მოდელს მოიცავს:
1) აგნოსტიკური სეკულარიზმი - არ გააჩნია პოზიცია უმაღლესი ძალის არსებობა-არარსებობის შესახებ და აქცენტს აკეთებს რელიგიური თავისუფლების პრინციპზე, საერო საჯარო სფეროში კი მისი შენარჩუნების აუცილებლობაზე. აღნიშნული იდეალურად ერგება ამერიკულ მოდელს.

2) სეკულარული მოდელი - სრული გამიჯვნით ან თანამშრომლობითი სეკულარიზმის ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

3) კონფესიური სეკულარიზმი - სახელმწიფო აღიარებს რელიგიის კულტურულ, სოციალურ და ისტორიულ მნიშვნელობას. ამავე დროს ინარჩუნებს ნეიტრალურ და მიუკერძოებელ პოზიციას.

საქართველოს სეკულარიზაცია საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს მოიაზრებს, რადგანაც „სეკულარიზმი, როგორც დასავლური პროექტი რთულად ადაპტირდება არადასავლურ ქვეყნებში.“ სახელმწიფო და რელიგია ქმნიან ორ პოლუსს, რომელთაც ახასიათებთ ცვალებადი ურთიერთობები: ერთ შეთხვევაში ხასიათდებიან ერთმანეთის კატეგორიული მიუღებლობით, მეორე შემთხვევაში კი ისწრაფვიან ერთმანეთისკენ, თუმცა ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა აუცილებელია, ვინაიდან ინტერკულტურულობა დემოკრატიზაციის პროცესის თანმდევია, აღნიშნული კი საუკეთესოდ რეალიზდება იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს თანამედროვე საზოგადოების ინკლუზიური პოლიტიკური და კულტური სივრცე. საქართველოს მსგავსი ქვეყნები, რომლებიც დაბადების დღიდან დღემდე მოვიდნენ: რწმენით, ტრადიციით, კულტურული ფასეულობებით, ისტორიით, სადაც რელიგიას მმართველობისთვის სახელმწიფო აპარატაზე არანაკლები ძალაუფლება აქვს, მიუღებელია რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან განცალკევება, მაშინ როდესაც პოსტ-საბჭოთა საქართველოს უმთავრესი ორიენტირი სწორედ სეკულარიზმზე დაფუძნებული ლიბერალური-დემოკრატია უნდა იყოს.

მოცემული რეალობისთვის, ეკლესიის გავლენა ქვეყანაში საკმაოდ დიდია, რაც ვლინდება , თუნდაც , უმცირესობაში მყოფ მუსლიმ თემთან მიმართებაში. ჩვენი სტატიის ძირითადი აქცენტი სწორედ ამ უკანასკნელისკენ არის მიმართული და ემსახურება ნაკლებად აქტუალური, თუმცა არანაკლებ პრობლემური საკითხის წინ წამოწევას. საქართველოში მყოფი მუსლიმები მართლმადიდებლური ეკლესიისაგან ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას. მუსლიმებს აქვთ თავიანთი რელიგიიდან გამომდინარე საჭირო მოთხოვნები, რაც სამლოცველოსა და სასაფლაოს აშენებას მოიაზრებს და რისი დაკმაყოფილებაც არ ხდება სახელმწიფოში, ქრისტიანული რელიგიისა და ქართველი მრევლის ზეგავლენით. 2014 წლის საქსტატის მონაცემებით საქართველოში 400 000-მდე მუსლიმი ცხოვრობს, რომელთაგან უმეტესი აჭარაშია დასახლებული, რელიგიური კონფლიქტების ძირითადი კერა კი სწორედ აჭარაა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პრობლემის სიღრმისეული ანალიზის ჩასატარებლად, საწყისი ნაბიჯი მოიცავდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით დაწერილი პუბლიკაციების შემოწმებას, კონტენტ-ანალიზის მიდგომის გამოყენებით. კვლევის მეორე ეტაპზე ჩამოყალიბებულ 2 ფოკუს-ჯგუფში ჩატარდა ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ, რომელთაგან ერთი შედგებოდა ქრისტიანების და მეორე- მუსლიმი მონაწილეებისგან. შერჩეულმა კვლევის მეთოდოლიგიამ მონაწილეებს მისცა ღია დისკუსიებში ჩართვის თავისუფლება და, საკვლევი საკითხის ფარგლებში, გამოვლენილი ფაქტების ანალიტიკურად შეფასების საშუალება.

შევისწავლეთ ორ რელიგიურ კონფესიას შორის ინტერკონფესიური დამოკიდებულება. ასე გაირკვა, რომ გამოკითხულ ქრისტიანებს ჰქონდათ კონტრასტული შეხედულებები სეკულარიზმთან მიმართებით. განვიხილეთ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები და აღმოჩნდა, რომ ორივე მხარე, საქართველოში ეთნო-რელიგიური კონფლიქტის გაღვივების საბაბად ასახელებს რუსეთს.

ამავე საკითხის ირგვლივ, არსებული დამოკიდებულების დეტალურად შესასწავლად, ჩავატარეთ არასტრუქტურირებული ინტერვიუ სტიქაროსანთან და ეკლესის შიგნით არსებული აღქმებიც გავაანალიზეთ. პატრიარქის როლზე ხაზგასმა აქტიურად ხდებოდა ქრისტიანთა ფოკუს ჯგუფის მხრიდან, რამაც განაპირობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, სიტყვებისა და მიმართვების გაანალიზება. ამის საფუძველზე პატრიარქის, როგორც „პოლიტიკური ავტორიტეტის“ ხატიც შეიქმნა რესპოდენტებთან. კვლევის ფარგლებში, განვიხილეთ ადამიანთა განწყობები რეგილიურ კონფლიქტებთან დაკავშირებით (დაკვირვება სოციალურ ქსელებში). ამავე მიზნით გამოვიყენეთ ანკეტირების მეთოდი, რათა საქართველოში მუსლიმთა ინტეგრაციისა და საქართველოს სეკულარიზაციის ხარისხის შეფასება შესძლებოდათ რესპოდენტებს

ლიტერატურის მიმოხილვა

საბჭოთა კავშირში სეკულარიზაცია პროგრესის სიმბოლოდ იყო აღიარებული, რომელიც ეფექტურად აძლიერებდა ლიდერის მესიანისტურ როლს. რელიგია მუდამ ერწყმოდა ერის ისტორიულ-კულტურულ ყოფას და ,,ერის იდეის'' ფორმირებასაც ახდენდა. ტოტალიტარული რეჟიმის მესიანისტური იდეოლოგიის ფარგლებში, მიზანი იყო სოციალურად ეგალიტარული სახელმწიფოს შექმნა, რაც სასულიერო პირების მიერ განსახიერებული „მტრის ხატის“ ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალური იყო საქართველოში, სადაც ეროვნული დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა მუდმივად იკვეთებოდა ავტოკეფალიის საკითხთან. საბჭოთა კავშირის რელიგიისადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკა, შეიძლებოდა, სეკულარიზმით გამართლებულიყო, თუმცა რეალურად, ეს არ იყო სახელმწიფოსა და რელიგიის მყარი გამიჯვნა, არამედ იყო ათეიზმთან ასოცირებული მყარი პოლიტიკური წყობა (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2017).

შეხედულება იმის თაობაზე, რომ რელიგია ცხოვრების ფართო სოციალურ ასპექტებზე ახდენს გავლენას არ არის ახალი. ადამიანთა მოსაზრება ამ საკითხზე ორგვარია: ერთი კატეგორია მიიჩნევს, რომ სეკულარიზმი რელიგიის როლის დაქვეითებისკენ არის მიმართული და რეალურად რელიგია პოლიტიკისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, ვინაიდან ეს არის მხოლოდ ადამიანისა და ღმერთის პირადი ურთიერთობა. მეორე კატეგორის რწმენით კი რელიგიას აქვს კორპორატიული ხასიათი და მისი გავლენა იმდენად დიდია სოციუმზე, რომ აუცილებლად უნდა დარჩეს პოლიტიკის მიღმა. (Greenawalt, 2009).

როცა სახელმწიფოში ვერ მყარდება კონსენსუსი სეკულარიზმის მიღება არმიღებასთან დაკავშირებით, საჭიროა ხელისუფლებამ გააცნოს სასულიერო თუ საერო პირებს სამი ალტერნატივა: სრული გამიჯვნის, ნეიტრალურობის და მორიგების მოდელები. როცა სახელმწიფო სრული გამიჯვნის მოდელს ირჩევს, ლოგიკურია, რომ სახელმწიფო და რელიგია მაქსიმალურად დისტანცირებულია ერთმანეთისგან. როცა ნეიტრალურ მოდელს ირჩევს, სახელმწიფო ყველა რელიგიური ჯგუფის მიმართ ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და არც ერთ მათგანს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო თუ მყარდება მორიგების მოდელი ე.ი მყარდება ძლიერი რელიგიური

ინსტიტუტები, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება ჩაერიონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში (Chemerinsky, 2006).

საქართველო კანონიერად სეკულარული სახელმწიფოა, სადაც მისსა და ეკლესიის როლს გამიჯნავს „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის "კონსტიტუციური შეთანხმება" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002). მიუხედავად იმისა, რომ მართმადიდებლური ეკლესიის პრივილეგიას საქართველოში ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით გამართლება შეიძლება ჰქონდეს, საქართველოსთვის, როგორც ახალი-დემოკრატიული ქვეყნისთვის, ამ სამიდან ერთ-ერთის ამორჩევა ოპტიმალური ვერსია იქნება. იურგერ ჰაბერმასის ,,პოსტ-სეკულარული საზოგადოების'' ჰიპოთეზა, რომელიც სტატიის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს, არ უარყოფს სეკულარიზაციის თეზიზს, არამედ პლურალურ პერსპექტივას სძენს იმ გაგებით, რომ პოსტსეკულარული საზოგადოება ადაპტირდა იმ იდეასთან, თითქოს რელიგიური ჯგუფები გააგრძელებენ არსებობას სეკულარიზმის პროცესის პარალელურად, სახელმწიფოს კონტექსტში კი ის ნეიტრალურობას ითვალისწინებს, რაც ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივ-კონსტიტუციურ გამიჯვნას მოიცავს.

ხშირად მოდერნულ სამყაროში სეკულარიზმს რელიგიის როლის დაკნინებას უკავშირებენ. 2014 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 93.3% თავს რომელიმე რელიგიურ მიმდინარეობას მიაკუთვნებს, ხოლო 81.2% თავს რელიგიურ პიროვნებად მიიჩნევს (აბულაძე, 2018). მაშასადამე, შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ სეკულარიზმი ევოლუციური და შეუქცევადი პროცესია, რაც რეაქციული შედეგია გამომდინარე მულტიკულტურული და პლურალისტური საზოგადოებიდან, თუმცა საქართველოში სასულიერო პირთა მოწოდებები საჯარო დისკურსაც აყალიბებს, ხელისუფლება კი რეიტინგის გაზრდას უშუალოდ მართლადიდებლობასთან იდენტიფიცირებით ცდილობს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში, რელიგიური კონფლიქტების მოსაგვარებლად და ორგანიზაციული მშვიდობის დასამყარებლად მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები არ კმარა, საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაც, რომლის დიდი ნაწილიც რელიგიურ ფუნდამენტალიზმზეა ორიენტირებული. საზოგადოება უნდა მივიდეს გადაწყვეტილებამდე, რომ სეკულარიზმის მიზანი და იდეა გაიზიაროს, აღიქვას საქართველო, როგორც მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანა, რომელსაც სტაბილურობისთვის და თითოეული იდენტობის მქონდე პიროვნებისთვის აუცილებლად სჭირდება სეკულარიზმი (radiotavisupleba.ge.2014).

საპატრიარქოს როლი ქართველი ერის ფორმირებაში და მუსლიმთა იზოლაცია

ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში კულტურული მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებლურ ეკლესიას. ეს უკანასკნელი გლობალიზაციის კონტექსტში თვითმყოფადობის შენარჩუნების წინაპირობად მიიჩნევა. ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოებს კულტურული დომინაცია არ გააჩნიათ, ამის ფონზე მსოფლიო მასშტაბით ლეგალური თუ არალეგალური მიგრაცია აქტიურ სახეს ატარებს, რაც ნაციონალისტური ძალების სტიმულირებას და მათი მხრიდან რეაქციული

პოლიტიკის გატარებას იწვევს. ამ ყოველივეს საილუსტრაციო მაგალითი არის ,,ბრექსიტი'', რომელიც შესაძლოა ეკონომიკური მიზეზებით იყო მოტივირებული, თუმცა ნაციონალისტური ძალების მობილიზება და ანტიმიგრანტთა პოლიტიკა ამ ფენომენის მიზეზს იდეალურად ხსნის.

მიუხედავად იმისა, რომ იდენტობა და რელიგია ორი განსხვავებული ცნებაა, პრაქტიკაში რელიგიამ შეიძლება განსაზღვროს იდენტობა და პირიქით. საქართველოშიც, ნაციოლანლიზმის ფორმირება რელიგიური იდენტობიდან მოხდა. თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ კონტექტს, საბჭოთა კავშირის პერიოდში, კომუნისტური პოლიტიკა მიზნად ისახავდა ერთგვაროვანი საბჭოთა იდენტობის ხელშეწყობას, ამან გამოიწვია სახელმწიფოში „ჩაკეტილი სისტემის" ჩამოყალიბება, რომლისთვისაც კუთხური პარტიკულარიზმი ნამდვილი საფრთხეა, მოსაგვარებლად კი აუცილებელია რაციონალური პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება, რათა უმცირესობებმა მრავალეთნიკური სახელმწიფოს სრულყოფილ ნაწილად იგრძნონ თავი.

პარტიკულარიზმი და სეპარატისტული ტენდენციები წარმოშვა იმ ფაქტმა, რომ მრავალეთნიკურ სახელმწიფოში უმცირესობა ეროვნულ ცნობიერებასთან იდენტიფიცირებას ვერ ახდენს, ვინაიდან რელიგია ასოცირდება ეროვნულობასთან. აღნიშნულ პრობლემაზე ფოკუს-ჯგუფში აქცენტს მუსლიმები აკეთებდნენ, შესაძლოა ცალკეულ ინდივიდებზე დაყრდნობით საერთო შეფასების განსაზღვრა ნაკლებ პრაქტიკული იყოს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა მუსლიმები განიცდიან იზოლაციას. მათივე რელიგიიდან გამომდინარე ასოცირდებიან ,,თათრებთან'' და ,,ტერორისტებთან'' , რაც, თავის მხრივს, ბადებს კითხვებს მართლმადიდებლურ ნაციონალიზმთან დაკავშირებით. ქრისტიანთა ფოკუს-ჯგუფის წევრებმა საქართველოს, როგორც არასეკულარული სახელმწიფოს არსებობაში, რელიგიური ლიდერების როლს გაუსვეს ხაზი, მათი მხრიდან კი განსაკუთრებით გამოიკვეთა ილია II-ის რელიგიური და პოლიტიკური ფიგურა. განხილული იქნა არგუმენტი, რომლის მიხედვითაც 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულების წინაპირობა პატრიარქის მიმართვა იყო ალექსი II-სადმი. ამ მიმართვით საქართველოს პატრიაქრი რუსეთს ,,ფასეულობის'' შენარჩუნებისაკენ მოუწოდებდა (გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" №20, 2008 წ.).

აღნიშნული ქვეთავის ფარგლებში ყურადღების მიღმა არ დაგვრჩენია ე.წ „19 სექტემრის მიმართვა". 2010 წელს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ- აფხაზეთისა, ღრმა შეშფოთებას გამოხატავდნენ პატრიარქი კირილესადმი, ვინაიდან ,,სამხრეთ ოსეთის'' თვითაღიარებულ პრეზიდენტს ,,დამოუკიდებლობის'' 20 წელი მიულოცა (გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" №31, 2010 წ.) ილია II-ის აზრით, პატრიარქმა კირილემ ამ ჟესტით სეპარატისტულ რეჟიმს დაუჭირა მხარი, შემდეგ კი მიმართვაში თავად გამოიყენა ტერმინი ,,სამხრეთ ოსეთი'' მაშინ, როცა აღნიშნული ტერმინი იურიდიულად 1922 წელს, საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით დამკვიდრდა. 1990 წლის 11 დეკემბერს კი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა და დაამკვიდრა ტერმინი „სამაჩაბლო".

ამ მოვლენიდან სამი წლის შემდეგ, პატრიარქი ნოვოოგარევოს საპრეზიდენტო რეზიდენციაში ვლადიმერ პუტინს ხვდება და მისგან ვისმენთ კიდევ ერთ მნიშვნელოვნად სამახსოვრო

განცხადებას - „ვფიქრობ, ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ შორის არსებობს, გადაწყდება და ჩვენ კვლავინდებურად ძმები ვიქნებით".

საქართველოს უნეტარესი რელიგიური პირისგან მსგავსი შინაარსის განაცხადის მოსმენამ საქართველოში ორი დომინანტური პოზიციის წარმოქმნა გამოიწვია:

1. „საქართველოს პატრიარქი დიპლომატია და რუსეთთან სამშვიდობო დიალოგს უწყობს ხელს."
2. „საქართველოს პატრიარქი რუსეთის ინტერესებს ატარებს." (radiotavisupleba.ge, 2019)

ქართველებში დამკვიდრებული ეთნოკულტურული იდენტობა, ერში უცხოსადმი მიუღებლობას წარმოქმნის. მუსლიმთა საერთო შეფასებით ,,საზოგადოება ვერ აღიქვამს, რომ მუსლიმი შეიძლება ქართველი იყოს და არა თუნდაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი". მათი თქმით, ქართველი საზოგადოების ნაწილს გააჩნია ანტისეკულარული განწყობა ეროვნული-იდენტობის დაცვის მიზნით. ასე მაგალითად, ქობულეთში, 2014 წელს ქრისტიანებმა მუსლიმთა პანსიონის ამოქმედების წინააღმდეგ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს და პანსიონზე დაკლული ღორის თავი მიაჭედეს (HumanRights.ge, 2015). ამის შემდეგ კი ნამოქმედარს რელიგიისა და ნაციის მჭიდრო შეზრდით ხსნიდნენ: ,,საინტერესოა, თურქეთში რომ გაეხსნათ ქართველებს მართლმადიდებლური პანსიონატი რა რეაქცია ექნებოდათ თურქებს";

„საქართველო თავსაყრელი კი არაა, მაჰმადიანურ ქვეყანაში ამას არც ერთი დაუშვებდა". (1TV,2014)

საგანმანათლებლო პოლიტიკა რელიგიურ ჯგუფთა ინტეგრაციისათვის

პოსტსაბჭოთა საქართველოში რელიგიური ნაციონალიზმის კომპლექსურმა საკითხმა წარმოშვა სტერეოტიპი - „საქართველო მართლმადიდებელთათვის". ნაციონალიზმი ნებისმიერ ქვეყანაში ხაზს უსვამს ეროვნულ სუვერენიტეტს, მაგრამ მას ასევე შეუძლია წარმოქმნას დაპირისპირება ეთნიკურ უმრავლესობასა და უმცირესობებს შორის. არსებობს ერისადმი კუთვნილების გრძნობა, როდესაც მსგავსი ემპათიური ცნობიერება ხდება ეთნოკულტურული და არა სამოქალაქო, ის აფერხებს ინკლუზიური მოქალაქეობის კონცეფციას სახელმწიფოში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქსენოფობიური ნაციონალიზმი გადაჯაჭვული რელიგიურ ფანატიზმთან. შედეგი ის არის, რომ უმცირესობები ხშირად მარგინალიზებულები არიან ისეთ მულტიკულტურულ და მრავალფეროვან სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, სადაც არ არის საერთო მოქალაქეობისა და ინტეგრაციის გრძნობა, მაშინ, როცა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის ბოლო მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 87%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ, ხოლო 13%-ს - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები.

ჩვენმა კვლევამ ხაზი გაუსვა ფუნდამენტურ საკითხს, კერძოდ: განათლების სექტორის რეფორმის აუცილებლობას. ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საკუთარ თავზე განიცადა ქსენოფობიური და დისკრიმინაციული შენიშვნები უნივერსიტეტის პროფესორებისგან, როგორიცაა - "ქართველები ქრისტიანები არიან, რატომ ითხოვთ მეჩეთებს ამ ქვეყანაში?"-

ნეიტრალიტეტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განათლებაში, რადგან ის უზრუნველყოფს ინდივიდის ინტეგრაციას საზოგადოებაში. უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოს თანაავტორმა ელენე მეძმარიაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული სახელმძღვანელოები ცხადჰყოფს შესამჩნევ ეთნოცენტრულ მიკერძოებას. მასალები, როგორც წესი ემსახურება მოსწავლეებში ეროვნული სიამაყის აღძვრას, მაგრამ ხშირად აკლია საქართველოს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული შინაარსი. (Reisner & Medzmariashvili, 2014). ისტორიული ცნობიერება გადამწყვეტ როლს თამაშობს ერის იდენტობის ჩამოყალიბებაში. მრავალეთნიკურ სახელმწიფოში მნიშვნელოვანია, რომ ისტორიული განათლება არ იყოს ცალმხრივი. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ მომზადებული უახლესი კვლევით დგინდება, რომ არაქართულენოვან სკოლებში გამოყენებული სახელმძღვანელოები არ შეესაბამება 2018-2024 წლების ქვეყნის ეროვნულ სასწავლო გეგმას.

საქართველოში, ხალხის გადამეტებულ რელიგიურობაზე ისიც მიანიშნებს, რომ დაახლოებით ათი წლის წინ სკოლებში ხშირად შეხვდებოდით ქრისტიანულ სალოცავ კუთხეებს და მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონით, საგანმანათლებლო სივრცეებში, არააკადემიური მიზნებით რელიგიური სიმბოლოების განთავსება აკრძალულია, სამლოცველოების არსებობა საგანმანათლებლო სექტორში კიდევ დიდხანს გაგრძელდა (HumanRights.ge, 2012). უმჯობესია, სკოლებში რომელიმე კონკრეტული რელიგიის სწავლების ნაცვლად დაიწყოს, ზოგადად, რელიგიური საგანმანათლებლო ინიციატივები, რათა მოსწავლეებს განუვითარდეთ მათგან განსხვავებული ადამიანების პატივისცემის უნარი და ფორმირდეს ინკლუზიური საზოგადოება.

გამოკითხვის პროცესში ქრისტიანებმა აღნიშნეს, რომ ეთნიკური უმცირესობები უნივერსიტეტებში ხშირად განიცდიან მიკუთვნებულობის განცდას საკუთარ ეთნიკურ ჯგუფებთან და ენობრივი ბარიერების გამო უჭირთ ქართველ სტუდენტებთან ინტერაქცია. საქართველომ ჯერ კიდევ 2005 წელს მოაწერა ხელი ევროპის საბჭოს ეთნიკური უმცირესობების დაცვის კონვენციას, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას ენისა და განათლების საკითხებში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ასპექტში საქართველო ხელმძღვანელობს ჰააგის რეკომენდაციებით, დღემდე ეთნიკური უმცირესობა სამოქალაქო ინტეგრაციისათვის აუცილებელ სახელმწიფო ენას არ ფლობს. ქვეყანაში 200-ზე მეტი არაქართული სკოლა არსებობს, სადაც ქართული ენა მეორე ენად ისწავლება. აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე არსებული სახელმძღვანელოებიც მეზობელი ქვეყნებიდანაა შემოტანილი და ხშირად ეწინააღმდეგება საქართველოს განათლების ეროვნულ გეგმას.

მუსლიმთა ფოკუს-ჯგუფში რესპოდენტებმა ,,1+4'' პროგრამაც განიხილეს. მონაწილეთა შეფასებით პროგრამამ ენობრივი ბარიერი გარკვეულწილად შეამსუბუქა. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილება 2009 წელს იქნა შეტანილი, რომლის დასრულების ვადად 2018-2019 წელი განისაზღვრა. პროგრამა ქართულში მომზადების 1 წლიან ვადას ითვალისწინებს, უნივერსიტეტები კი ენობრივი კომპეტენციისათვის სავალდებულო აკრედიტაციას გადიან. ამჟამად 11 უნივერსიტეტში მოქმედებს ,,1+4'' საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც

ორიენტირებულია საბაკალავრო საფეხურისათვის ქართული ენის ცოდნის დონემ B2-ს მიაღწიოს, თუმცა სასკოლო განათლების არასრულფასოვნებიდან გამომდინარე, უმცირესობები ქართულ ენას ძირითადად A1 დონეზე ფლობენ, ხოლო უნივერსიტეტებიდან მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ქართულ ენაში სავალდებულო ტესტირებას, რის შედეგადაც მოსწავლეთა კლასიფიცირება ცოდნის დონის მიხედვით ხდება. (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2020).

საქართველოში, ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით შესამჩნევი განსხვავებაა ეთნიკურად ქართველ და არაქართველ სტუდენტებს შორის. რესპოდენტთა ჯგუფის ორმა წევრმა, რომლებიც წარმომავლობით პანკისის ხეობიდან არიან, აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი მათ სკოლაში მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც მათ შემთხვევაში გახდა საფუძველი საბაკალავრო საფეხურის დაუბრკოლებლად დაძლევის. მაშინ, როცა ენობრივი ბარიერი სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთი მიზეზია ქვეყანაში, თუმცა ამ უკანასკნელის ზეგავლენით სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა შესახებ სტატისტიკა სამწუხაროდ ვერ მოვიძიეთ, რაც კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს ,რომ პრობლემა დღის წესრიგის ნაწილი არაა. ფაქტის სავალალობის მიუხედავად, კარგია, რომ მოქალაქეთა მნიშვნელოვან ნაწილს ადარდებს აღნიშნული თემატიკის პრობლემურობა. დასამოწმებლად, მოვიშველიებთ 2014 წლის მოვლენებს, როცა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის პარტნიორმა საჯარო სკოლებმა "ისწავლე და ასწავლე" - პრინციპით ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის სომხურენოვან საჯარო სკოლაში ჩაატარეს შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქართული და სომხურენოვანი საჯარო სკოლების მოსწავლეები, მიზანი კი ორი ეროვნების მოსწავლეებს შორის ტრადიციების გაცნობა და ინტეგრაცია იყო. (civic educational portal, 2014).

სეკულარიზმთან დაკავშირებული აღქმები, სეკულარული საზოგადოების ფორმირების მიზეზები.

სეკულარიზმის ცნებას ინდივიდები განსხვავებულად ინტერპრეტირებენ, რაც გამოვლინდა რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც. ჩვენს მიერ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი უმრავლესობისათვის სეკულარიზმი გულისხმობს რელიგიის გამიჯვნას პოლიტიკური სივრცისგან. დაფიქსირდა პერსპექტივაც, რომელიც აიგივებდა სეკულარიზმს ათეიზმთან. კითხვაზე თუ რას ნიშნავს სეკულარული სზოგადოება, ქრისტიანთა ფოკუს ჯგუფში ორი ძირითადი პასუხი მივიღეთ. პირველი პერსპექტივა გვთავაზობს, რომ სეკულარული საზოგადოება არის ადამიანთა ერთობა, რომელშიც ინდივიდებს შეუძლიათ თავისუფლად განახორციელონ თავიანთი სამუშაო მოვალეობა და არ ჩაერიონ სხვის პასუხიმსგებლობაში. ამ თვალსაზრისით, სოციალური ჩარჩო საშუალებას აძლევს ინდივიდებს იმოქმედონ დამოუკიდებლად, სხვების საზღვრებისა და მოვალეობების პატივისცემით. მეორე მოსაზრება კი, რომელზეც ორივე ჯგუფის წარმომადგებლები თანხმდებიან ხაზს უსვამს იმას, რომ სეკულარული საზოგადოება ხასიათდება რელიგიური ფანატიზმის არ არსებობით. ამ თვალსაზრისით, სეკულარული საზოგადოება განიხილება, როგორც სივრცე, სადაც უკიდურესი ან გულმოდგინე რელიგიური რწმენა და

პრაქტიკა არ არის დომინანტი ან გავრცელებული. ამის ნაცვლად, ის ხელს უწყობს უფრო ზომიერ და დაბალანსებულ მიდგომას, რაც საშუალებას აძლევს თანაარსებობას და ტოლერანტობას სხვადასხვა რელიგიურ და არარელიგიურ პერსპექტივებს შორის.

საქართველო არ არის მონოეთნიკური ქვეყანა, თუმცა ერის დიდი ნაწილი იდენტიფიცირებას ახდენს ერთ რელიგიასთან სხვა რელიგიათა სუბორდინაციის ხარჯზე. ბარიერის გადასალახად აუცილებელია გაცნობიერებულად მოხდეს დემოკრატიზაციის პროცესის არჩევა, რომელიც საქართველოს შემთხვევაში პირველ ფაზას ანუ ეროვნული ერთობის ჩამოყალიბებას მოიაზრებს. საკითხის უკეთ აღსაქმელად, მოდი განვიხილოთ რა როლი ითამაშა რელიგიამ ინდონეზიის 1997-1999 წლის ეკონომიკურ კრიზისში. ინდონეზიის მოსახლეობის 87%-ს მუსლიმები წარმოადგენენ. ეკონომიკური კრიზისის დროს მუსლიმებში განათლების მიმღებთა რიცხვი 1992-დან 1999 წლამდე 13%-ით გაიზარდა. ფაქტი აიხსნება რელიგიური თემის შიგნით არსებული ფინანსური ურთიერთდახმარებით, რომელსაც ,,სოციალური კაპიტალი'' შეიძლება ვუწოდოთ. მსგავსი ემპირიული მაგალითი ქართულ რეალობასაც შეგვიძლია მოვარგოთ, კერძოდ, 2012 წლის კვლევით: ,,მოხალისეობა საქართველოში: კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები'' -დგინდება, რომ საქართველოს მოსახლეობის 61%-ს ამავე წლის განმავლობაში ერთხელ მაინც გაუწევია ფინანსური დახმარება ეკლესიისათვის, ხოლო 21%-ს ტანსაცმელი და საკვებიც შეუწირავს. ჰიპოთეზის მნიშვნელოვანი ნაწილია გამოკითხულთა 5%-ის განაცხადი, რომ მათმა მეგობრებმა ან ნაცნობებმა დახმარება მიიღეს ეკლესიისგან. ამის ფონზე, ლოგიკურია, იზრდება ეკლესიაში იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა რწმენასაც ეკონომიკური ფონი განსაზღვრავს და იზრდება ეკლესიის გავლენა საზოგადოებაზეც. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური სირთულეები ხშირად იწვევს დაუცველობის გრძნობას. ასეთ დროს, ინდივიდები ეძებენ ნუგეშს თავიანთ რწმენაში. რელიგია ხალხს სთავაზობს იმედს და უზრუნველყოფს მათ ნუგეშისცემას. დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა კი შეიძლება იყოს ის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ხალხი მრწამსისა და ზოგადი რელიგიური ღირებულებების მიღმა ხსნას ეძებს ეკლესიაში. თუმცა ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა და მეტად რთულია ეკონომიკასა და რელიგიას შორის უშუალო მტკიცებულებებზე დაყრდნობით ისაუბრო.

აღსაღნიშნია, რომ ჩვენს მიერ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს არასეკულარულ სახელმწიფოდ აღიქვამს და საქართველოში რელიგიური და პოლიტიკური სფეროების მჭიდრო გადაჯაჭვულობას აღიარებას.

სტიქაროსანის თქმით, 2008 წლის კონფლიქტის მოგვარებას ხელი შეუწყო ორი რელიგიური ლიდერის, ილია II-ისა და ალექსი II-ის პირადმა ურთიერთობამ. ეს ნარატივი ხაზს უსვამს ეკლესიისა და მისი ლიდერების მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან გავლენას, რომელიც სცილდება რელიგიურ საკითხებს და იჭრება პოლიტიკურ სფეროში, რაც ცალსახად ეკლესიას სახელმწიფოსაგან განყენებულად ვერ წარმოგვიდგენს.

ორივე ფოკუს ჯგუფიდან დანარჩენების აზრით, რელიგია საქართველოში ვერ იქნება სახელმწიფოსაგან განყენებული, ვინაიდან ეკლესიებში მოსმენილ მორალურ წესებს გაცილებით დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, ვიდრე უზენაეს კანონს. მუსლიმების რწმენით,

საქართველოში არათუ პოლიტიკა და რელიგია, არამედ საზოგადოება და რელიგიაც არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული. ისინი თვლიან, რომ ცალკეული ჯგუფების მიერ მათ მიმართ დიკსრიმინაციული დამოკიდებულება იმათაა განპირობებული, რომ თავად მართლმადიდებლური ეკლესია ახდენს სხვა რელიგიური ჯგუფების ჩაგვრას, თუნდაც მათ მოთხოვნებზე ნეგატიური საჯარო კომენტირებით, რაც შემდგომ მრევლზე და მორწმუნეებზეც ახდენს გავლენას. თუმცა ყველა მათგანი ემხრობა იმ იდეას რომ მოხდეს ერი-სახელმწიფოს ფორმირება და სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა რელიგიური დოგმებისგან დამოუკიდებლად. გამოკითხულების თქმით, ქვეყანაში სეკულარიზმი მაშინ მყარდება, როცა მყარდება კონსენსუსი რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნასთან დაკავშირებით, როცა სოციუმის გარკვეული ჯგუფი გაიაზრებს, რომ სეკულარიზაცია მიზნად ისახავს რელიგიური ინსტიტუტების პირდაპირი პოლიტიკური კონტროლის თავიდან აცილებას, რათა სახელმწიფო დარჩეს ნეიტრალური ყველა რელიგიური ჯგუფის მიმართ. სეკულარიზმი აღიარებს და მოიცავს რელიგიური შეხედულებების მრავალფეროვნებას საზოგადოებაში. ის ცდილობს უზრუნველყოს, რომ არც ერთი რელიგიური ჯგუფი დომინირებდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, იძლევა სხვადასხვა რელიგიური და არარელიგიური პერსპექტივების თანაარსებობის საშუალებას.

რესპოდენტები ასევე აღიარებენ იმ პოტენციურ გამოწვევებს, რაც საქართველოს სეკულარიზაციას შეიძლება ახდეს თან, მათ შორის კი უპირველესი სეკულარიზმის ათეიზმის წინაპირობად აღქმა და ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშია. ასევე თვლიან, რომ ქვეყანაში სეკულარიზმის მისაღებად იქამდე არ იქნება მზაობა, სანამ არ იქნება აღიარებული, რომ რელიგიის გამორიცხვა პოლიტიკური სფეროდან არ ცვლის დამკვიდრებულ ღირებულებებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იყო ფესვგადგმული საქართველოში.

რელიგიური კონფლიქტების ორი მაპროვოცირებელი ძალა და რუსეთის პოლიტიკა

კონტენტ ანალიზის პროცესში შესწავლილი იქნა რელიგიურ კონფლიქტთა რამდენიმე შემთხვევა. ქრისტიანები საჯარო მოხელეთა განცხადებებსა და პარტიულ პოლიტიკაში ხედავდნენ მიზეზებს, ხოლო მუსლიმებმა ყურადღება ,,გარეგან ძალებზე'' გაამხავილეს. მუსლიმური თემის აზრით ამ კონფლიქტების ძირეული მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ქართულ საზოგადოებას აქვს ნეგატიური დამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიური წარმომავლობის ინდივიდების მიმართ და რელიგიური თუ საერო პირები ერთნაირად ცდილობენ თავიანთი სარწმუნოების დომინირების დამტკიცებას, მაშინ როცა რელიგიურ დაძაბულობას შეარბილებდა ისეთი ჟესტებიც კი, როგორიცაა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ბაირამობის რეგულარულად მილოცვა მუსლიმი თემისათვის და ამ პერიოდში მუსულმანი სკოლის მოსწავლეებისათვის არდადეგების გამოცხადება. ეს იქნებოდა გზავნილი, რომ საქართველო არის მულტიკულტურალური სახელმწიფო, რომელიც მოწოდებულია პატივი სცეს მისი მრავალფეროვანი მოსახლეობის რელიგიურ და კულტურულ ფასეულობებს.

აღნიშნულს სრულიად ეწინააღმდეგება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეს, ი.შიოლაშვილის განცხადება ამავე მუნიციპალიტეტში 2013 წელს მუსლიმთა სამლოცველოს დარბევასთან დაკავშირებით. მან მომხდარი შეაფასა, როგორც ,,სოფლის ნება''. მისი თქმით

,,ხალხის ნება თვითმმართველობისათვის უზენაესია, ხალხის ნება კი ისაა, რომ არ გაკეთდეს სამლოცველო''. ამ მოვლენის შემდეგ, მოკლე პერიოდში ლოცვა სამთაწყაროში შედგა, რასაც ქრისტიანთა განმეორებითი თავდასხმა მოჰყვა. ადგილობრივ ქრისტიანებში დამკვიდრა შეხედულება თითქოს კონფლიქტი პროვოცირებული იყო გარეგანი ძალებიდან, ხოლო ვინაიდან სამთაწყარო საზღვრისპირა სოფელი არის, რუსეთი ,,დაყავი და იბატონე'' პრინციპით ცდილობდა შიდა პოლიტიკური არეულობის შექმნას საქართველოში (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2017).

გამოკითხულთა პასუხებიდან ირკვევა, რომ ისინი ადასტურებენ თურქეთისაგან ფინანსური დახმარების მიღებას მეჩეთის მშნებლობისათვის, ასევე აჭარის რეგიონში მუსლიმი ბავშვებისათვის პანსიონის დაფინანსების ფაქტსაც არ უარყოფენ თურქეთის მხრიდან, ასეთი დაფინანსების საკითხი კი გახდა დისკუსიის საგანი ჩვენ ფოკუს ჯგუფში. კონკრეტულად, დისკუსია ბათუმის მეჩეთის მაგალითზე წარიმართა, როცა მუსლიმთა თემი მეჩეთის ასაშენებლად ხელისუფლების მხარდაჭერას ითხოვდა, მაგრამ მიუხედავად დიდი მოთხოვნისა, მერიამ მის მშენებლობაზე ნებართვა უარყო, იმ მიზეზის გამო, რომ შერჩეული ტერიტორია საცხოვრებელ ზონასთან იყო ახლოს (ადამიანის უფლების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, 2014).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფოკუს ჯგუფის ზოგიერთი წევრი რელიგიური კონფლიქტების მოტივატორებად საჯარო მოხელეებსაც მიიჩნევდნენ. საინტერესო კავშირია „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ ვერ მიღებულ კანონსა და მარგინალიზირებული ჯგუფების იძულებაზე, დახმარება სახელმწიფოს გარეთ ეძიონ. მუსლიმური თემის აგენტებად შერაცხვა მათ მხოლოდ უფრო მეტ დისტანცირებას გამოიწვევდა საერთო ეროვნული ყოფიდან. მნიშვნელოვანია, ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს ქართული ოცნებიდან წამოსული დეპუტატებით დაკომპლექტებული „ხალხის ძალა“. მათი თქმით: „ლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდის ერთადერთი მიზანი საქართველოს „დესამშობლოიზაცია“ და ეროვნული და ქრისტიანული ღირებულებებისგან საზოგადოების სრულად დაცლაა“ (1tv.ge. 2022). მსგავსი ტიპის საჯარო განაცხადი სამოქალაქო მოძრაობის მხრიდან აღვივებს რელიგიურ და სოციალურ შუღლს და ამართლებს ჩვენი რესპოდენტების აღქმას კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია, რომ ალტ-ინფო არ დარეგისტრირდებოდა უცხოური გავლენის აგენტად, ვინაიდან მისი სპონსორი საქართველოს მოქალაქეა, თუმცა კონსტანტინე მორგოშიას თქმით ისინი "მალე ფინანსურად მყარად იქნებიან, რადგან გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, მათ შორის რუსეთიდან, რომლებიც მათ მხარს დაუჭერენ" (formulanews.ge, 2022), რუსეთიდან მიღებული მხარდაჭერა კი მუსლიმი რესპოდენტების მიერ ნახსენებ ჩრდილოეთის ხელთან ასოცირდება.

დასკვნა

კვლევის შედეგად შეგვიძლია, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მულტიკონფესიური საქართველო როზენფელდის კლასიფიკაციის არც ერთ სეკულარულ მოდელს არ ერგება და წმინდად არასეკულარულ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც აფერხებს ინკლუზიური სოციალური გარემოს ჩამოყალიბებას. პოსტსეკულარიზმის ფაზას ტრადიციული საზოგადოებაც ნაკლებად ერგება და მართმადიდებლობით ებრძვის პოსტსაბჭოურ სივრცეში მოდერნიზაციას და პლურალისტური გარემოს ჩამოყალიბებას.

საბოლოოდ, არასეკულარული პოლიტიკის პრაქტიკულმა განხორციელებამ გამოიწვია არაქრისტიანულ თემთა მიმართ დისკრიმინაცია და უმცირესობათა მარგინალიზაცია, უფრო კონკრეტულად ეს მუსლიმთა შემთხვევაში გამოვლინდა მეჩეთების მშენებლობაზე შეზღუდვითა და არათანაბარი დაფინანსებით. ამას გარდა, რელიგიათაშორისი დიალოგის არარსებობამ გაამძაფრა კონფლიქტები და სტერეოტიპები განსხვავებული რელიგიური თემების მიმართ, რამაც მუსლიმთა გაუცხოება გამოიწვია ,,ქართული იდენტობისაგან'' და შეაფერხა ეროვნული ერთობის ჩამოყალიბების პროცესი. ვერც სამართალდამცავ ორგანოთა გამართული ფუნქციონირება ხორციელდება უშუალოდ მართლმადიდებლური მოძრაობების მხრიდან ძალადობის აღმოფხვრისათვის. 2016 წელს ადიგენში ქრისტიანთა მხრიდან მუსლიმებზე განხორციელებული ძალადობის მიუხედავად არც ერთი პირი დასჯილა (netgazeti.ge, 2016). ეს ქმედებები არა მხოლოდ პოლიტიკურ არამედ საზოგადოებრივ დონეზეც ქართული ტრადიციების დაცვასთან ასოცირდება. დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდანვე, საქართველოს თვითმიზანს ევროპეიზაცია წარმოადგენს, დემოკრატიული სისტემა კი მულტიკულტურიზმის პრინციპების შესისხლხორცებას გულისხმობს, რაც მხოლოდ რელიგიური ნეიტრალურობის პირობებშია შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, (2020). ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სიტემური გამოწვევები.
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, (2017). რელიგიის თავისუფლების შეზღუდვასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების მიმოხილვა.
ადიგენში რელიგიური დაპირისპირების შესახებ დაზარალებული საუბრობს. (2016). Retrieved from netgazeti.ge.
აკრძალვის მიუხედავად საჯარო სკოლებში სამლოცველოები ისევ არსებობს. (2012). Retrieved from humanrights.ge.

ანრი აბულაძე, (2018). სეკულარიზმის პრობლემა საქართველოში. Retrieved from researchgate. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, (2008). „საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო კონფლიქტს გამოვრიცხავ“. „რია ნოვოსტის“ კითხვებს პასუხობს საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, (2010). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის წერილი რუსეთის ეკლესიის მეთაურის, უწმინდესი კირილესადმი ა.წ. 19 სექტემბერს გავრცელებული მიმართვის გამო.

მორგოშია: ალტ-ინფო რუსეთში პოლიტიკურ ძალებთან მოლაპარაკებებზე მიემგზავრება. (2022). Retrieved from formulanews.ge.

პატრიარქის 9 ნაბიჯი, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. (2019). Retrieved from radiotavisupleba.ge.

რა მოხდა ბუკნარში რელიგიურ საფუძველზე მუსლიმი თემის შევიწროების დაწყებიდან. (2021). Retrieved from formulanews.ge.

რელიგიური დაპირისპირების საშიშროება - ქობულეთის მუსლიმთა პანსიონის წინ ღორი დაკლეს. (2014). Retrieved from 1tv.ge.

სამოქალაქო განათლების პორტალი, (2014). ღონისძიება წყრუთის საჯარო სკოლაში-„ისწავლე და ასწავლე.“ (2014). Retrieved from radiotavisupleba.ge.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (2002). საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სეკულარიზმის კრიზისი საქართველოში. (2014). Retrieved from radiotavisupleba.ge.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, (2017). სეკულარიზმი: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჩარჩო.

ქობულეთის მუსლიმთა პანსიონთან ბარიკადებია აღმართული. (2015). Retrieved from humanrights.ge.
„ხალხის ძალა“ განცხადებას ავრცელებს - ე.წ. ლიბერალების მიერ წარმოებული აგრესიული კამპანიის მხილება ჩვენი სამომავლო საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება იქნება. (2022). Retrieved from 1tv.ge.
Chemirinsky,E, (2006). Constitutional Law: Principles and Policies.

Greenwalt,K, (2009). Secularism, Religion, and Liberal Democracy in the United States.
Reisner, O & Medzmariashvili, E. (2014). The Implications of Cultural and Religious Diversity for History Education in Georgia.